| | |
|---|---|
| **Erasmus+ CBHE ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი/გრანტის მიმღები უნივერსიტეტი** | ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| <u>პროექტის სახელწოდება მთავარი მიზანი</u> | <u>„ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL)</u><br><br>Core Objectives:<br>პროექტის მიზანია პარტნიორ ქვეყნებში სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება ევროკომისიის განათლებისა და მომზადების 2020 მიზნების (ET 2020 Objectives) შესაბამისად. პროექტი ასევე მიზნად ისახავს სწავლისა და სწავლების მეთოდების განვითარებასა და ინოვაციების წახალისებას ტექნოლოგიებისა და კვლევის ინტეგრაციის მხარდაჭერით გზით. |
| პროექტის აქტივობები და შედეგები | **პროექტის მთავარი აქტივობებია:**<br><br>**აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრების ჩამოყალიბება და გაძლიერება.** პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრების ინფრასტრუქტურული გაძლიერება და ინოვაციური მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამის შემუშავება და დანერგვა.<br><br>**პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალის გადამზადება.** პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური პერსონალისა და ტრენერების უნარ-ჩვევების გაძლიერება, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული, ინოვაციური უნარების და კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესება.<br><br>**სწავლებისა და სწავლის ვირტუალური აკადემიის ჩამოყალიბება:** აღნიშნულ აკადემიაში გაწევრიანდება მასწავლებელთა საერთაშორისო საზოგადოება, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს თავისუფლად წვდომა ექნებათ ღია საგანმანათლებლო რესურსებზე და შეძლებენ მათ გაზიარებას სწავლისა და სწავლების პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით. |
| პროექტის ტიპი | <u>რეგიონული ერთობლივი პროექტი</u> |
| ევროპელი პარტნიორები | 1. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია)<br>2. ბარსელონის უნივერსიტეტი (ესპანეთი)<br>3. პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)<br>4. ლინკოპინგის უნივერსიტეტი (შვედეთი)<br>5. გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი - FH Joanneum (ავსტრია) |
| ბენეფიციარი უნივერსიტეტები | 1. ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (სომხეთი)<br>2. ვანაძორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)<br>3. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელარუსია)<br>4. ბრესტის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (ბელარუსია)<br>5. გროდნოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელარუსია)<br>6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<br>8. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **სამთავრობო და ასოცირებული პარტნიორები** | უმაღლესი განათლების სტრატეგიული კვლევის ეროვნული ცენტრი (ბელარუსია) |

| | |
|---|---|
| | |
| პროექტის ბიუჯეტი: | **997.506,00 ევრო** |